პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 26 (19767) პარასკევი, 30 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

თბილისის ზარეწველო საწარმოებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სხვა ორგანიზაციებში გულდასმით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მასალებს. პლენუმზე მიღებული დადგენილების შინაარსს, ამ დოკუმენტებს რესპუბლიკის მშრომელები აღიქვამენ სამოქმედო პროგრამად ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე და ეძიებენ გზებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს პარტიის მიზანდასახულობათა უთუო ხორცშესხმისათვის.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის სარკოვი ფაბრიკის ხართავ-საგრეხი საამქროს უფროსს აკაკი კეშელაშვილს, რომელიც თავის თანამშრომლებს აცნობს პლენუმის მასალებს.

ს. კილაძის ფოტო.

## ᲒᲠᲝᲥᲯᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲒᲖᲐᲖᲔ

თანამედროვე პირობებში კონკრეტული საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, შეჯიბრების განვითარებაში, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში, ადამიანების ალზრდაში უფრო აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ პროფკავშირებმა. პროფკავშირები მომუშავე კოლეგიანობა უნდა იღვაწონ, რომ პროფკავშირულ საერთაშორისო ირანეფდნენ ავტორიტეტიან, ცხოვრების მცოდნე ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ კონკრეტული საქმის ორგანიზაცია, მშრომელი ადამიანის, კოლექტივის ინტერესების დაცვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებიდან.

▼▼ ▼▼

ᲓᲦᲔᲡ თბილისში მუშობას შეუდგება საქართველოს პროფესიული კავშირების მეთვრამეტე ყრილობა. ეს დიდი მოვლენა ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირთა ცხოვრებაში ახლა, მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის ამ პირველ თვეში განსაკუთრებულ შინაარსსა და მნიშვნელობას იძენს. სწორედ ჩვენი განვითარების გარდამტეხ ეტაპზე, როცა პარტია ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა ცვლილებებს ახორციელებს, ბუნებრივია, უდიდესი პასუხსაგები ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი ჩვენს პროფკავშირებს, მის დარგობრივ საბჭოებსა და კომიტეტებს, მის პირველადს ორგანიზაციებს. პროფკავშირული ორგანიზაციები ხომ ყველაზე ახლო დგანან მუშახალხთან, კოლმეურნეებთან, მოსამსახურეებთან, სტუდენტთან. ამჟამად საქართველოს პროფკავშირების წევრია 2700 ათასზე მეტი კაცი, ანუ შრომაში და სწავლაში ჩაბმულ ადამიანთა 99,9 პროცენტი.

„ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია ჩვენში პროფკავშირებია, — აღნიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — ისინი მთლიანად ცოტას როდი აკუთვნებენ მუშების, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, შეკამათების განვითარების, დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების გაზიდვებისათვის. და მაინც.., პროფკავშირულ კომიტეტს ყოველთვის როდი ჰყოფნის მებრძოლური მიზანსწრაფვა და სიმტკიცე". ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი რესპუბლიკის პროფორგანიზაციებში დამთავრებულმა ანგარიშგება-არჩევნებმა, რომელიც წინ უძღოდა დღევანდელ ყრილობას, საკმაოდ დაადასტურა ეს სიტყვები. მან მოკლე ძალით და სრულად წარმოაჩინა პროფკავშირული მუშაობის როგორც პოზიტიური შედეგები, ისე არცთუ ცოტა გაუკეთებელი საქმეები.

რას გვეუბნება საანგარიშო პერიოდის მთელ მანძილზე წინა ყრილობიდან დღემდე გაწეული მუშაობის ანალიზი? რა გამოცდილება უნდა ვაშრავლოთ და მოვიმარჯვოთ შემდგომი მუშაობისათვის და რა აღარ შეუსაბამება დროის ბინაზეულებულ ქროლვას, რა უნდა „ეუფუფგდოთ, უარყოთ, გზიდან ჩამოვიცილოთ? სწორედ ეს იქნება ყრილობის სულისკვეთება, მისი დელეგატების ბჭობისა და განსჯის თემა.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია პროფკავშირული მუშაობის სული და კავშირი. ამ წლებში სულ უფრო მდიდრდებოდა შეჯიბრების ფორმები და შინაარსი, მას ახასიათებდა მეტი კონკრეტულობა და ეკონომიკური დასაბუთებულობა. დღეს ამ ჭეშმარიტად კეთილშობილურ მეტოქეობაში 2 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურეა ჩაბმული. მარტო 100 ათასი მუშა „მეთორმეტე ხუთწლედის დამკვრელის" საპატიო ნიშნით დაჯილდოვდა. გაბრავლდა მოწინავე გამოცდილების მქონე შრომითი კოლექტივებისა და ნოვატორების მისამრთები, კარგი ეკონომიკური ეფექტი მოპოვეს ისეთ თანამონაწილეობებს, როგორიც არის ფოთის პიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხანაში — „პროდუქციის მაქსიმუმი — მინიმალური დანახარჯებით", თბილისის დიზიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში — „მოქმედ სიმძლავრეთა რეკონსტრუქცია — მინიმალური დანახარჯებით", თბილისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში — „თითოეულ ავტომანქანაზე გამომუშავების გადიდების გზით შევასრულოთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში", თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა და სოფლის მეურნეობის პროფილის სამეცნიერო ორგანიზაციებში — „მაქსიმალურად ავამაღლოთ სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დონე".

განელილმა საანგარიშო საარჩევნო კამპანიამ აგრეთვე თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ გარდაქმნის პროცესი დღითი დღე ფართოვდება, თანდათანობით მცირდება ყოველგვარი ზედმეტი ხსნდოვანი, ფაქალდების ნაკადი, მრავალი პროფკავშირული კომიტეტის საქმიანობაში მთავარ ყურადღებას აქცევენ კონკრეტულ საწარმოო, სოციალურ და აღმზრდელობითის პრობლემებს.

ვინ მოთვლის იმ სასარგებლო ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება საწარმოო ეკონომიკური საქმიანობის, სანაერიულ-საკურორტო მეურნეობის, ტურიზმისა და დასვენების, მუშა-მოსამსახურეთა უფლებების დაცვის, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა დღეს მხოლოდ ასეთ შედეგებზე გველაპარაკა, დავჯერებოდით გარდაქმნის დიდ გზაზე ერთიულ მიღწევებს. რა დასაშალია, რომ გარდაქმნა, საქმეში არსებითი გარდატეხა ჯერ კიდევ ყველგან დაბეჯითებით, გაბედულად, თანამიმდევრულობით როდი ხდება. მაგალითად, შარშან მიწოდების ხელშეკრულებანაშალეს თბილისის საწარმო გიორგიანებებმა „ჩარხმშენებელმა", „ელმავალმშენებელმა", რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა", ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ. სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ რესპუბლიკის სე-ტყისა და ხის დამუშავებელი, მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებს. აბა, განვსაჯოთ: მთელი გასული წლის მანძილზე საწარმოო პროგრამის შესრულებას თავი ვერ გაართვა 77 სამრეწველო საწარმომ, რომლებმაც მომხმარებლებს დააკლეს თითქმის 80 მილიონი მანეთის ნაწარმი. ასეთ შრომითს კოლექტივებში პროფკავშირული კომიტეტების რა უნარზე და გავლენაზე შეიძლება ვილაპარაკოთ?!

წლეულს ეკონომიკის ყველა დარგი უკვე გადავიდა მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობაზე, ბევრგან დაიწყო აქტიური მოქმედება სახელმწიფო მიღებამ. კიდევ უფრო ვითარდება სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა, შრომის საბოლოო შედეგებზე ორიენტაცია. და მთელ ამ მუშაობაში განუზომელია რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობა და როლი. ისინი განსაკუთრებით უნდა გააქტიურდნენ, რათა ყველგან ქმედითად იყენებდნენ მართვის ეკონომიკურ მეთოდებს, წარმოების თითოეული მოსაწილის შემოქმედებით, დიდნაყოფიერ შრომის სტიმულირებას.

პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა აგრეთვე კონკრეტულად და გულმოდგინედ გადაწყვიტონ მოსახლეობის თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების, კოლექტიური მეშაოლების განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების საკითხები. ხომ ფაქტია, რომ მრავალ საწარმოსა და მეურნეობაში არსებული კლუბები უმოქმედობენ, არა აქვთ წითელი კუთხეები, პროფკავშირების ინფორმაციის საქმეა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებთან ერთად საგანგებო ბრძოლა გამოუცხადონ უშრომელ შემოსავალს, ლოთობასა და ალკოჰოლიზმს და სხვა უმსგავსობას.

ყრილობაზე, ბუნებრივია, განსაკუთრებული სჯა-ბაასის თემა იქნება ორგანიზაციული მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების საკითხები. ამ მხრივ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვაწყდებით ფორმალიზმისა და მოჩვენებითობის ფაქტებს. საჭიროა ამ საქმეში გარდაქმნის მიზნით ბევრ რამეს დაეხსნოს პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთა ხელმძღვანელობა და დახმარება პროფკავშირული ორგანიზაციების ძალისა და ძლიერების წყაროა.

მთელი ჩვენი ხალხი ამ დღეებში ცხოვრობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სულისკვეთებით, რომელმაც შეტად ღიღრმესულად განიხილა გარდაქმნისა და საკადრო პოლიტიკის საკითხები. პლენუმზე დიდი ადგილი დათმო სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, მთელი ჩვენი კადრების, თითოეული საბჭოთა ადამიანის კონკრეტულ გადასაწყვეტ ამოცანებს მთელ ქვეყანაში განმაახლებელ, თავისი არსით ნამდვილად რევოლუციურ მუშაობაში. ამ კურსის განხორციელება იოლი საქმე როდია. როგორც პლენუმზე ითქვა, იგი მოითხოვს მთელი არსებული საშუალებების ეონივრულ გამოყენებას, დინამიზმსა და ინიციატივას, გაჯანსაღებასა და გვრგვილანობას, დემოკრატიზმის გაღრმავებას, საჯაროობის გაფართოებას. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის პროფსაბჭომ, რომელიც თავის ახალ საანგარიშო პერიოდს იწყებს მიმდინარე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავის საიუბილეო წელს, თავისი ხელმძღვანელობა სიტყვა უნდა თქვას დიდი გარდაქმნების, სახალხო ცვლილებების განხორციელებაში.

# სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ

# მ. ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

## სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ 1987 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

**ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝᲜᲘ** ჩვენი პლენუმი ამთავრებს მუშაობას, დღის წესრიგის მთავარი საკითხის განხილვას. ატმოსფერო, რომელშიც პლენუმის მუშაობა მიმდინარეობდა, გამართული დისკუსია საშუალებას გვაძლევენ აღვნიშნოთ, რომ აქ აზრთა ერთიანობა სუფევდა ყველა საკითხზე, რომლებიც გამოტანილი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად და გადასაწყვეტად. ეს ერთიანობა ფორმალური როდია, ეს არის ერთიანობა, რომელიც ემყარება აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სტრატეგიული კურსის წარმატებით განხორციელებისათვის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებლობის გაგებას.

ახლა, როცა დავამთავრეთ კამათი და გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, ბუნებრივია დავსვათ კითხვა — გაამართო თუ არა ჩვენმა პლენუმმა კომუნისტებს, საბჭოთა ადამიანების მოლოდინი? რა პასუხი გავიცეთ ამ კითხვას? უმკაცრესი საზომითაც კი დღევანდელი პლენუმი დიდი პოლიტიკური მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებაშიც და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაშიც.

ვფიქრობ, საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ პლენუმი საგრძნობლად აწინაურებს პარტიას, ქვეყანას, მთელ საზოგადოებას გარდაქმნის გზით. მაგრამ სრულად პლენუმის მნიშვნელობა ვეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი უცილობელი პირობით: ყველაფერს, რის შესახებაც აქ მოვიოლაპარაკეთ, თანამიმდევრულად შეასხამენ ხორცს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული, საოკრუგო კომიტეტები, ქვეყნის ყველა პარტიული ორგანიზაცია.

ამიტომ ასე ვიტყოდი: პლენუმი გაამართლებს მოლოდინს, თუ ასე ვიმოქმედებთ პლენუმის შემდეგ. კი ალბათ მკვიდრ წასამძღვრებს უქმნის იმას, რომ კვლავაც გულდაჯერებით ვიაროთ დაჩქარების, გარდაქმნის, ისეთი საკადრო პოლიტიკის სრულყოფის გზით, რომელიც შეესაბამება ისტორიული განვითარების დღევანდელი ეტაპის ამოცანას.

ფართო დისკუსიამ, რომელშიც 77 საწარმოდან 34 ამხანაგი მონაწილეობდა, მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა პარტიისა და სახელმწიფოს მუშაობის სხვადასხვა დონიდან და სხვადასხვა მიმართულებიდან კიდევ ერთხელ შეგვეხედა გარდაქმნისათვის, გაგვეაზრებინა მისი მიზანდასახულობა, კიდევ ერთხელ შეგვეფასებინა თვით გარდაქმნის პროცესი, მიგვეღო შეფასება უშუალოდ ადამიანებისაგან.

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია — ვფიქრობ, უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ამაზე, — უწინარეს ყოვლისა პლენუმის მიერ იმ ფაქტის პოლიტიკური კონსტატაცია, რომ პარტია, საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალები მხარს უჭერენ გარდაქმნას. რადგან ეს ასეა, მაშინ სხვა გზა არც შეიძლება იყოს. და ამით უნდა მოვრჩეთ დისკუსიას, საჭიროა თუ არა გარდაქმნა. მთლიანად ვეთანხმები ამხანაგ დ. კ. მოტორნის, რომელმაც აქ თქვა, რომ გარდაქმნა უკვე უბრალოდ იდეა კი აღარ არის, არამედ რეალობაა.

საბჭოთა ადამიანები გარდაქმნას უკავშირებენ თავიანთ საარსებო გეგმებს, ქვეყნის ბედიღბალს, მის საერთაშორისო ავტორიტეტსა და გავლენას. მაშ განა შეგვიძლია დავუშვათ რაიმე ყოყმანი მის განხორციელებაში? არა, ამხანაგებო!

დიახ, გარდაქმნა უკვე რეალობაა. ახლა უფრო ნათლად და ღრმად გვესმის, რომ ქვეყნის საშინაო განვითარების თვალსაზრისითაც და საგარეო პირობების, საერთაშორისო ვითარების თვალსაზრისითაც ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. მაგრამ დაჩქარება ვერ იქნება საზოგადოების განახლების გარეშე, ისევე როგორც საზოგადოების განახლება გარეშე ვერ იქნება მისი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა. ძველი მიდგომებით ვერ გადავწყვეტთ ახალ ამოცანებს, მითუმეტეს ისტორიული მასშტაბის ამოცანებს, რომლებიც დღეს დაგვიდგა.

გარდაქმნა გატკეცნილი გზით გასვლირნება როდი გახლავთ. ეს არის აღმართში სვლა, ხშირად უვალი ბილიკებით. ჩვენს საზოგადოებაში, როგორც კიდევ ერთხელ ცხადყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ბევრი პრობლემა დაგროვდა. საჭირო გახდება უდიდესი შემოქმედებითი ძალისხმევა და ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლა, რათა ბოლომდე მივიყვანოთ გარდაქმნის დიდი საქმე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ხალხი, როგორც ამას მოითხოვს დრო, რომელშიც ცხოვრობთ.

ჩვენ ჯერ გზის დასაწყისში ვართ. ეს ზუსტად უნდა განვსაზღვროთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ვინაიდან იმის გაგება, თუ სად ვიმყოფებით, გვაძლევს იმის გაგებასაც, თუ რა უნდა გავაკეთოთ და როგორ ვიმოქმედოთ. თუ ვინმემ გადაწყვიტა, უკვე გარდვაქმენო, მას უნდა შეეხსენოთ, რომ გარდაქმნას ჯერ ეს-ეს არის შეეუდექით. და უთმოვრესი წინ გველის. ესეც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დიდმნიშვნელოვანი დასკვნაა.

როცა ვაწარმოებთ, სულ უფრო ფართოდ ვწლით გარდაქმნას, უნდა ვერიდოთ უკიდურეს შეფასებებს. მტკიცედ უნდა ვიდგეთ ერთადერთ მყარ საფუძველზე—რეალობის ნიადაგზე. ჩვენი მიღწევების გადაჭარბებით შეფასებას დამღუფველი შედეგები ექნებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთივე ძალით მთლი ხაზი გავუსვა: ჩვენ არ შეგვძლია არ შევნიშნოთ უმცირესი წინსვლაც კი გარდაქმნაში, გამოცდილების პატარა მარხილიც კი. ეს არანაკლებ დამღუფველი იქნებოდა. უწინარეს ყოვლისა ეს დაუშვებელია თუნდაც აი რატომ.

ჩვენ ჯერ ეს-ეს არის ვიჩაღებთ საქმიანობას, ჩვენს პოლიტიკურ გზს აღვუფრავთ კონკრეტული მიდგომებით, განვსაზღვრავთ იმ მიზნების მიღწევის გზებს, რომლებიც დავისახეთ. ჯერ ეს-ეს არის ვრთავთ გარდაქმნის მექანიზმსა და საშუალებებს, ვდგამთ პირველ ნაბიჯებს საიმისოდ, რომ ისინი ამუშავდნენ და უკუგება მოგვცეს. მაგრამ, უკვე 1986 წლის შედეგების განხილვისას დავნაჰეთ, რომ წინ წავიწიეთ.

რამ განაპირობა ეს წინსვლა? ეს არის პირდაპირი შედეგი იმისა, რომ ჩვენი ხალხი მხარს უჭერს გარდაქმნის, დაჩქარების გზს.

მაშ განა შეგვიძლია ვერ ვხედავდეთ ამას, ვთვლიდეთ, რომ არაფერი მომხდარა და არაფერი ხდება. ის კი არ არის რევოლუციონერი, ვინც რევოლუციურ ფრაზებს ისვრის, არამედ ის, ვისაც უნარი შესწევს დასახოს პერსპექტივა, დარაზმოს ხალხი და პარტია ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლისათვის და შენიშნოს ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი, გამოიყენოს იგი სამისოდ, რომ კიდევ ერთი საყრდენი წერტილი მოეძებნოს ახალ, უფრო დიდ ნაბიჯს. დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე უდიდესი პარტიული მაღლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს ხალხს იმისათვის, რომ მიხვდა, სულით, თავისი ხალხური გუმანით იგრძნო, რომ მას მოუხმობენ ჩაებას ძნელ ბრძოლაში, მაგრამ ბრძოლაში ისეთი ცვლილებებისათვის, ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც დიდებულ ნაყოფს მოუტანენ მთელ საზოგადოებას, ყოველ ოჯახს, ყოველ ადამიანს. საბჭოთა ადამიანებმა ირწმუნეს ჩვენი, მათ მხარი დაუჭირეს პარტიას. აი, რატომ არის ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი 1986 წელს მიღწეული პოზიტიური ცვლილებები. ისინი მნიშვნელოვანი არიან იმიტომ, რომ გამოხატეს ჩვენი ხალხის მძლავრი მხარდაჭერა პარტიის პოლიტიკისადმი, დაჩქარებისათვის გამიზნული მისი კურსისადმი.

მინდა გამოვყო კიდევ ზოგიერთი მომენტი, რომლებიც პლენუმზე გაისმა. ვფიქრობ, პოლიტბიუროს მოხსენებაში სავსებით მართებულად არის წამოწეული წინა პლანზე უმნიშვნელოვანესი თემა — საბჭოთა საზოგადოების სერიოზული, გაღრმავებული დემოკრატიზაციის თემა.

ეს, ამხანაგებო, ის ბერკეტია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გარდაქმნისათვის ავამოქმედოთ მისი გადამწყვეტი ძალა—ხალხი. თუ ამას არ ვიზამთ, მაშინ ვერ გადავწყვეტთ დაჩქარების ამოცანებს, ვერ უზრუნველვყოფთ გარდაქმნას, იგი უბრალოდ არ მოხდება.

მეორე მხრივ, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებით, წინსვლით, მისი პოტენციალის ამოქმედებით, ჩვენ ყველაზე საიმედო გარანტიებს ვუქმნით იმას, რომ აღარ განმეორდეს წარსულის შეცდომები. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია.

დემოკრატია ჰაერივით გვჭირდება. თუ ამას ვერ გავიგებთ, და თუ გავიგებთ კიდეც, მაგრამ რეალურ სეროიზულ ნაბიჯებს არ გადავდგამთ მისი გაფართოების, წინსვლის, გარდაქმნის პროცესში ქვეყნის მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით, მაშინ გაგიუდება ჩვენი პოლიტიკა, გაიგუდება გარდაქმნა, ამხანაგებო.

ეს არის ჩვენი მთავარი ჩანაფიქრი. ისევე როგორც პოლიტბიუროს ყველა წევრი — ჩვენ კი ყოველი შესვენების დროს აზრს ვუზიარებდით ერთმანეთს პლენუმის მუშაობის შესახებ — ძალზე კმაყოფილი ვარ იმით, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოლიანად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას! დაჩქარების მიზნებისათვის ბრძოლის ახლანდელ ეტაპზე.

კომუნისტური პარტია მტკიცედ დგას იმ თვალსაზრისზე, რომ ხალხმა ყველაფერი იცოდეს. საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, მასების კონტროლი — ეს საბჭოთა საზოგადოების ჯანსაღი განვითარების გარანტიებია. რადგან ისინი ხალხს სპირდება — მაშასადამე სპირდება ყველას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მმართველი პარტიაა. და იგი დაინტერესებულია საჯაროობით, კრიტიკით და თვითკრიტიკით, ვინაიდან ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნორმალური ფუნქციონირების რეალური და საიმედო ფორმებია. ეს სწორედ ის საშუალებებია, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან პარტია შეცდომებისაგან პოლიტიკაში. ამ შეცდომების ფასი კი ყველას მოგვეხსენება.

დღეს პლენუმზე ჩვენ ყველას გამოგვაქვს ერთიანი დასკვნა — ჩვენ გვჭირდება საჯაროობა, ჩვენ გვჭირდება კრიტიკა და თვითკრიტიკა როგორც სოციალისტური დემოკრატიის ეფექტიანი ფორმები. ჩვენს სახელმწიფოში — მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში — ხალხს ყველაფერი ესაქმება, ვინაიდან ეს მისი სახელმწიფოა. მან ყველაფერი უნდა იცოდეს და ყველაფრის შესახებ შეგნებულად მსჯელობდეს. ეს სიტყვები, როგორც იცით, ვ. ი. ლენინს ეკუთვნის.

ხალხს მთელი სიმართლე სჭირდება. ამასთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ ლენინის პოზიცია, რომელიც მან „ისკრის" რედაქციისათვის გაგზავნილ წერილში ჩამოაყალიბა. „მართლაც, დროა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გადაჭრით უკუვაგდოთ სექტანტური წრეობანის ტრადიციები და — **მასებზე** დაყრდნობილ პარტიაში, — წამოვაყენოთ გაბედული ლოზუნგი: **რაც შეიძლება მეტი სინათლე**, დაე პარტიამ **ყველაფერი** იცოდეს". (ტ.7, გვ.126). ჩვენ, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება ახლა რაც შეიძლება მეტი სინათლე, რათა პარტიამ და ხალხმა იცოდნენ ყველაფერი, რათა აღარ გვქონდეს ბნელი კუთხეები, სადაც ისევ გაჩნდებოდა ობი, ყოველივე ის, რასაც ახლა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეთ და ჯერ კიდევ, შორს ვართ ამ ბრძოლის დასრულებისაგან. ამიტომ — რაც შეიძლება მეტი სინათლე!

ნუთუ ჩვენ ასეთი მძლავრი პარტიით, ასეთი პატრიოტი, სოციალიზმის იდეების, თავისი საშობლოს ერთგული ხალხით ვერ მოვუვლითო იმას, თუ ზოგ-ზოგები შეეცდებიან გამოიყენონ ფართო საჯაროობა, დემოკრატიული პროცესი პირდაპირი ან ანტისოციალისტურ-გადაგებრივი მიზნით, გათათხვის მიზნით!

მინდა გავიზიაროთ ერთი დაკვირვება, რომელიც ჩემი მოგზაურობების გაანალიზებისას გავაკეთე. ადრე წინა პლანზე ხშირად სწორედ დემაგოგები გამოდიოდნენ ხოლმე და თავიანთ „გამბედაობას" ამზეურებდნენ. ძირითადად ეს ასეთი დემაგოგია იყო: აქაოდა, რას უყურებს უფროსობა, განსაკუთრებით მოსკოვში? ახლა კი სხვანაირი სიტუაციაა. ეს დასკვნა ათობით შეხვედრის საფუძველზე გამომაქვს. ახლა უშუალო საუბარში, ამასთან ყველაზე მოულოდნელ აუდიტორიებში და ადგილებზე, ყველაზე, რომ იტყვიან, მოუმზადებელ აუდიტორიაში, ებმებიან მოწიფული, სერიოზული ადამიანები. ისინი საქმიანად აყენებენ საკითხებს, კითხულობენ იმას, რაც არ ესმით, არკვევენ, როგორ გადაწყდება ესა თუ ის საკითხი.

სწორედ საჯაროობისა და დემოკრატიის ვითარებამ მისცა თავის მაღლა აწევის შესაძლებლობა მუშათა კლასს, გლეხობას, ჩვენს ინტელიგენციას, მთელ ჯანსაღ ძალებს. დემაგოგი თუ ჩნდება ხოლმე — თვითონვე აშორშინებენ. ათობით ასეთ შემთხვევას შევსწრებივარ. ხალხი ყოველთვის გაერკვევა ყველა საკითხში.

საჯაროობა, კრიტიკა, თვითკრიტიკა ჩვენთვის უბრალოდ აუცილებელია. ეს სოციალისტური ცხოვრების წესის უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებები გახლავთ. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ამბავი ჩვენ მხოლოდ იმისათვის გვეკრიტიკება, რომ წარსულის ნაკლოვანებები გავაკრიტიკოთ, ძალიან შემცდარა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, დემოკრატია საჭიროა ჩვენი წინსვლისათვის, უზარმაზარი ამოცანების გადაწყვეტისათვის. ხალხის აქტიური მონაწილეობის გარეშე ამ ამოცანებს ვერ გადავწყვეტთ. აი რისთვის გვჭირდება ეს ყველაფერი.

და თუ ვინმეს ეჩვენება, რომ ასეთ სიტუაციაში მუშაობა ძნელია, მინდა შეგახსენოთ, რაც უკვე ექვსი თვის წინ გამოთქვით რჩევის სახით: ისწავლეთ განვითარებადი დემოკრატიის პირობებში მუშაობა. მოდით ყველამ ვისწავლოთ!

პრესა მხარს უნდა უჭერდეს საჯაროობას ქვეყანაში, ინფორმაციას აწვდიდეს ჩვენს ხალხს. მაგრამ იგი ამას პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა აკეთებდეს — ასეთ სურვილს გამოთვქვამთ. არ ცდებოდეს სენსაციებზე „ცხელ-ცხელი ფაქტების" ძებნაზე. ჩვენ პრესა გარდაქმნის აქტიურ მონაწილედ გვჭირდება!

უნდა მოვუმატოთ საქმიანობას მუშაობაში. სწორად გაისმა აქ მრავალი ამხანაგის შენიშვნები, გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ სიტყვა უკვე ბევრი დაიხარჯა.

ეს ყველას ეხება, მათ შორის პრესასაც. ახლა ჩვენთვის ძალზე საჭიროა ვხედავდეთ ყველაფერს, რაც კი პოზიტიური, კონსტრუქციულია, აღვიმურვებოდეთ ამით, მთელი პარტიის, მთელი ხალხის კეთილისათვის ვიქცევდეთ, ვიყენებდეთ ახალი მიდგომების აღმოჩენებს გარდაქმნის პირობებში. აქაც არის საჭირო დიდი საჯაროობა და ყოველივე მოწინავის პროპაგანდა.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ ჩვენ — არ მინდა რომ ბრალად დამდონ, თითქოს ისევ რაღაც ეტაპს ვიგონებდეთ, — მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ახლა ჩვენ მოძრაობის, გარდაქმნისთვის ჩვენი მუშაობის ახალ ეტაპს ვიწყებთ. ამ აზრს ასე განვმარტავ. სიტუაცია გაანალიზდა, პოლიტიკური კურსი დაისახა, ამ კურსის სარეალიზაციო ძირითადი გადაწყვეტილებები მიღებულია. ახლა საქმე და მხოლოდ საქმეა საჭირო.

ჩვენს პოლიტიკაზე, გარდაქმნაზე ხალხი იმსჯელებს და რაც დრო გავა, მით უფრო მკაცრად — ხელშესახები შედეგებით მილიონთა შრომისა და ცხოვრების პირობების პრაქტიკულ გაუმჯობესებაში: რამდენად უფრო ზუსტი გახდა წარმოების ორგანიზაცია, რამდენად სამართლიანი — შრომის ანაზღაურება, რამდენად დაჩქარდა საცხოვრებლის მშენებლობა, გაუმჯობესდა ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საქალაქო ტრანსპორტის, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების მუშაობა, რამდენად უფრო სუფთა და ჯანსაღია ზნეობრივი კლიმატი პარტიულ ორგანიზაციაში, შრომითს კოლექტივში.

ერთი სიტყვით, ჩვენ, კომუნისტები, ყოველდღიური ცხოვრების ათასობით და ათასობით ფაქტის მეშვეობით უნდა ვამტკიცებდეთ ჩვენი პოლიტიკის სისწორეს, გარდაქმნის სიცოცხლისუნარიანობას. ეს განსაკუთრებით დიდ მოთხოვნებს უყენებს კადრებს, მიზნად უსახავს მათ პრაქტიკულ შედეგებს. ამიტომ არის ახლა ესოდენ საჭირო მეცადინეობის გაძლიერება, მოძრაობის დაჩქარება, მუშაობის მომატება ყველასაგან, როგორც ეს უკვე ითქვა მოხსენებაში.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო იმ ამოცანების მნიშვნელობა, რომლებსაც საიუბილეო, 1987 წელს ვწყვეტთ. ეს ამოცანები უზარმაზარია მასშტაბით, მიზნებით, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისების, მთელი ეკონომიკის, მისი მრავალი დარგის მეურნეობრიობის ახალ პრინციპებზე გადასვლის თვალსაზრისით.

გარდაქმნა, ამხანაგებო, დიდი სკოლაა. იგი რთულ ამოცანებს გვისახავს. და კარგად უნდა გავიაროთ ეს სკოლა. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო: საჭიროა მოქმედება, მოქმედება და კიდევ ერთხელ მოქმედება — აქტიურად, გაბედულად, შემოქმედებითად, კომპეტენტურად! ეს, თუ გნებავთ, მომენტის მთავარი ამოცანაა. და მისი გადაწ

## პარტიული ცხოვრება: აქტიურობა მადლია კაცისა

**არაუშერი ისე არ ამაღლებს პიროვნებას, როგორც საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ქცევის ყოველდღიური ნორმა ხდება.**

**ეს განსაკუთრებით დასაფასებელია მაშინ, როდესაც ისეთი პროფესია გაქვს, სადაც განსაზღვრული სამუშაო დრო არ არის, როცა სულ მზად ხარ დახმარება აღმოუჩინო გაჭირვებულს, როცა ყოველდღე სიკეთილს ებრძვი და ხშირად გამარჯვებული გამოდიხარ.**

**სოსო** კაპანაძეც იმ პროფესიის ადამიანია, სადაც ძალზე ძნელია ზღვარის გაგება სამსახურებრივ მოვალეობასა და ადამიანურ ვალს შორის, სადაც სპეციალისტის შეფასებისას ადამიანებთან დამოკიდებულებას ცოდნასა და გამოცდილებაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. მისთვის არ არსებობს, დღეს ძმიმე ავადმყოფი მყავდა და ხვალ მოვიცალი საზოგადოებრივი დავალებისთვისო. ყველაფერს ასწრებს, სამართლიანობა და ინიციატივა — აი, მისი ყველაზე გამორჩეული თვისებები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქალაქის მთავარი თერაპევტი, ოც წელზე მეტია, რაც ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოკარდიუმის ინფარქტის განყოფილებაში მუშაობს. იგი პარტიულ ბიუროს მდივნის მოადგილეა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებში.

სწამთ მისი, როგორც მკურნალის, როგორც კომუნისტისა, მაჩუკებიან, იციან — სწორი გზიდან არასოდეს გადაუხვევს. მათ პარტბიუროს საუკეთესოთა შორის რომ ასახელებენ, ამაში სოსო კაპანაძის წვლილიც არის.

აქ იდეოლოგიური მუშაობის უწონარესი მიზანი ის არის, რომ კომუნისტები კარგად ერკვეოდნენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების საკითხებში, შეეძლოთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და კომუნისტურ იდეალებს დაუკავშირონ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა, აქტიურად დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს და მოწინავეს.

პოლიტგანათლების სისტემაში მეცადინეობა ცოცხლად, საინტერესოდ მიმდინარეობს, რაც იმის შედეგია, რომ ზედმიწევნით ნაცნობია ინსტიტუტის კოლექტივის საქმიანობის ყველა საკითხი. არასოდეს გვერდს არ უხვევენ მწვავე თემებს, სიძნელეებს, ფართოდ იყენებენ აზრთა გაზიარების მეთოდს, ყურადღებით ეკიდებიან მსმენელთა წინადადებებს. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მსჯელობის საგანი ხდება მსმენელთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც შეეხება როგორც ინსტიტუტის მუშაობას, ისე სხვა საჭირბოროტო პრობლემებს.

პოლიტიკური მეცადინეობის ეფექტიანობის მიღწეული დონე პარტბიუროს უნარიანი ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობის, პარტიული სწავლების სისტემასადმი კომპეტენტური ხელმძღვანელობის შედეგია.

პრაქტიკაშია დანერგილი პარტიულ კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე პროპაგანდისტებისა და მსმენელების ანგარიშების მოსმენა.

— პროპაგანდისტი, — ამბობს ს. კაპანაძე, — თუ იგი ამ საპატიო დავალებას ფორმალურად კი არა, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება, უდიდეს საქმეს აკეთებს. იგი ხელს უწყობს ადამიანთა შეხედულებებისა და რწმენის ჩამოყალიბებას და მათ პრაქტიკულ საქმიანობას პარტიის მიერ დასახული უდიდესი ამოცანების შესრულებისათვის წარმართავს.

დღეს, ყველა ორგანიზაცია, მშრომელი და შემოქმედებითი კოლექტივი მთელი მონდომებით ცდილობს ფეხი აუწყოს ქვეყანაში მიმდინარე მუშაობის გარდაქმნის დაჩქარებულ პროცესს. — სკკპ XXVII ყრილობაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ იდეოლოგიურ სფეროში „სერიოზულად გვშლის ხელს ჩვეული ერთგვაროვნული მიდგომა", და მართლაც, არ შეიძლება ესა თუ ის თემა ერთნაირად აინტერესებდეს ყოველგვარ აუდიტორიას, ყველა მსმენელს, — ჩვეული გატაცებით საუბრობს პარტბიუროს მდივნის მოადგილე, — ამიტომ ვცდილობთ ისე წარვმართოთ მუშაობა, რომ დავაინტერესოთ ყველა, რა სფეროს მუშაკიც გინდა იყოს. ინსტიტუტის ხშირი სტუმრები არიან გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც სინტერესო ლექციებს კითხულობენ ლიტერატურასა თუ ხელოვნებაზე, მეცნიერულ მიღწევებსა თუ გარემოს დაცვაზე. მარტო შარშან ათზე მეტი ასეთი ლექცია მოისმინეს ექიმებმა.

რას ნიშნავს ადამიანის ფაქტორის გააქტიურება? არსებული რეზერვების ამოქმედება, ისეთი პოზიცია, თითოეულმა თავი რომ საქმის ნამდვილ ბატონ-პატრონად იგრძნოს, ჩამოყალიბდეს იგი გულშემატკივარ და გერგილიან მუშაკად. ასეთი დამოკიდებულების აღზრდა კი პარტბიუროს და მისი თითოეული წევრის პირდაპირი მოვალეობაა.

ჩვენი ინსტიტუტი მოწინავეა არა მარტო საბჭოთა კავშირში, მისი სახელი მსოფლიოს საუკეთესო ინსტიტუტებს შორის მოიხსენიება, — განაგრძობს საუბარს მდივნის მოადგილე, გვყავს ბევრი კარგი მუშაკი, — რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს საერთო საქმეში. მაგრამ დღეს აღარ კმარა მხოლოდ თვითონ იმუშაო კარგად, არ შეიძლება არ დაგაინტერესოს იმან, რაც შენს ირგვლივ ხდება.

ახლა, როცა პარტია გარდატეხისკენ, დაჩქარებისკენ მოგვიწოდებს, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ალბათ ცუდად მუშაობას არასად არ მოაქვს იმდენი ზარალი, რამდენიც ჩვენთან...

ინსტიტუტის ცხოვრების ყველა სფეროში მკაფიოდ გამოიკვეთება პარტიული ორგანიზაციის წარმმართველი ხელი, ჩანს მისი ბიურო, პირადად მდივანი ლია ჩირგაძე, რომელთა მოღვაწეობის სფერო მარტოოდენ მეცნიერული საქმიანობით არ შემოიფარგლება, აღწევენ კომუნისტებისა საზოგადოებრივ აქტიურობას, მწვავე საკითხების დასმით, პრინციპული მუშაობით გამოირჩევიან. არა მარტო სადღაც, ვიწრო წრეში, არამედ კრებებზე, საქვეყნოდ, ხმამაღლა ბჭობენ საჭირბოროტო საკითხებზე. ამიტომაც აღწევენ მიზანს. დირექციასთან ერთად მათი საზრუნავი უწონარესად ადამიანია.

პარტიული ბიუროს თუ კრებებზე ოქმები უტყუარად აღნუსხავენ ექიმთა მუყაოთ შრომას და კომუნისტთა მოწინავე როლს სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თაოსნობაში თუ მის განხორციელებაში.

ახლა უკვე დიდი ხნის აღიარებულია „ღია კარის" იდეა, რომელსაც ამ ინსტიტუტის მუშაკები დასვენების დღეებში საკონსულტაციო პოლიკლინიკაში აწყობენ.

ერთხანს იმპორტულ და ძვირადღირებულ აპარატურას სათანადოდ ვერ იყენებდნენ ინსტიტუტში, განსაკუთრებით ძმიმე მდგომარეობა იყო სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში, რომელიმე ნაწილის შეკეთება უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე მისი ახლით შეცვლა. გაძნელებული იყო ახალი აპარატურის სრულყოფილი დამონტაჟებაც. ვერც ხმარებიდან გამოსულ აპარატებს ჩამოწერდნენ ხოლმე დროულად, ვერ ხერხდებოდა მათი დატვირთვის ზუსტი აღრიცხვა. გაჭიანურდა ჯანგბადის ცენტრალიზებული მიწოდების სისტემის დამონტაჟება. სრულყოფილად არ ფუნქციონირებდა პალატების სიგნალიზაცია. და ეს მტკივნეული საკითხები მხედველობიდან არ გამორჩენია პარტბიუროს. ღია პარტიულ კრებაზე მკაცრად შეაფასეს შექმნილი სიტუაცია და ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებებიც დასახეს.

ჩვეულებრივ, აქ ყოველი პარტიული კრება წინა კრებაზე მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის გაცნობით იწყება. სწორედ ამიტომ იშვიათია საკითხი, რომელიც შეიძლება მოუგვარებელი დარჩეს კრებიდან კრებამდე. კომუნისტებმა იციან, რომ შეუსრულებლობისათვის ან მკაცრად მოსთხოვენ პასუხს.

პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე იდეოლოგიური მუშაობის დარგში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მეცნიერთა მუშაობას, უპირველეს ყოვლისა ცდილობს არც ერთი მთგანი არ დარჩეს სამეცნიერო თემის გარეშე. ყველას დამრიგებლობას და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ გამოცდილი მეცნიერები, პარტიული ორგანიზაცია ამ ბოლო წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არა მარტო მეცნიერული შრომების დამუშავებას, არამედ მათ დროულ პრაქტიკულ გამოყენებასაც.

აქ კომუნისტთა წინადადებებს გულისყურით ეკიდებიან, მათ აზრს წონა და ფასი აქვს. სახლოვანი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი მეცნიერი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ნოდარ ყიფშიძე, კომუნისტური შრომის დამკვრელის სპპაკონ სახელის მოსაპოვებლად იბრძვის. აქ 26 განყოფილება და ჯგუფია, მათგან 5 განყოფილებას უკვე აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი.

დღეისათვის, სამედიცინო დაწესებულებებში ყველაზე დიდი პრობლემა ქვემო რგოლის სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებაა, ჩვეულებრივ, არსად არ ყოფნით სანიტრები და ხშირად ვაკანტურია საშტატო ერთეულები. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ავადმყოფთა მომსახურების იჯარული ბრიგადულ მეთოდზე გადასვლა. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

პარტიული ორგანიზაციის ცდით და ყურადღებით ინსტიტუტში ისეთი ატმოსფერო იქმნება, რომ თითოეულ მუშაკს შეუძლია თავისუფლად იმსჯელოს, გამოთქვას აზრი, ჯანსაღად განეწყოს კრიტიკისა და თვითკრიტიკის მიმართ. ამით მკვიდრდება საქმიანი ვითარება, ერთსულოვნება, ბიუროკრატიზმისა და ფუქსიტყვაობისთვის ადგილი აღარ რჩება.

სოსო კაპანაძე, როგორც აღმზრდელი და ორგანიზატორი, ახალგაზრდობას დისციპლინის, კეთილსინდისიერების პირად მაგალითს უჩვენებს, ხშირად ესაუბრება ახალგაზრდებს უშაღლოდ განყოფილებებში, ინტერესით ვამაკვანებავს ხოლმე მათ წარმატებებზე, ღამეში არაერთხელ რომ გამოიყვანა ახალგაზრდა ქალი კლინიკური სიკვდილიდან. რა გახარებული იყო, არასოდეს დაავიწყდება — მეორე დღეს ეგონა მთელი ქალაქი მას უყურებდა, ამაყად მიდიოდა ქუჩაში. ხუმრობა საქმე იყო — სიკვდილს გამოკლიჯა, სიცოცხლეს დაუბრუნა ადამიანი.

ასეა ყოველდღე. ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი უხსნია.

მის ბიბლიოთეკაში ბევრი წიგნია მწერალთა ავტოგრაფებით, მაგრამ ორს განსაკუთრებით ესაუთუება — ერთი ახალგაზრდობას ახსენებს, ბორის პასტერნაკის თარგმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილი აჩუქა ლაგრისი კალანდაძემ. მეორე კი „მარადისობის კანონია". „ამ ქვეყნად ჩემი მეორედ მოსვლის უშუალო მონაწილეს, უზომო მადლიერებითა და სიყვარულით. ნოდარ დუმბაძე". ეამაყება ამ კაცის მკურნალი რომ იყო.

ერთი დიდი ნაკლი აქვს ჩვენს კოლეგასო, ამბობენ ინსტიტუტში, მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, თუმცა იქვე ხუმრობით დასძენენ, ხარისხია მთავარი და არა რაოდენობაო... დათო ექიმია, მამის კვალს გაჰყვა, ინსტიტუტის კოკავშირის კომიტეტის მდივანი, სულ ახლახან საქართველოს ალკ ყრილობის დელეგატად აირჩიეს, თითქმის ყოველწლიურად შრომითი სემესტრების მთავარი სანიტარიული ექიმია.

სოსო კაპანაძე მუდამ ხალხში ტრიალებს. ურიცხვი მეგობრებით არის გარშემორტყმული.

ყველგან სასურველი სტუმარია, პოეზიის ტრფიალი და ჩვენი საუკეთესო ტრადიციების ღირსეული მატარებელია.

ვუსმენდი ამ კაცს და მახსენდებოდა დიდი რუსი მხატვრის ლევიტანის სიტყვები: „ავადმყოფ გულს, მხოლოდ გულით თუ განკურნავთო".

ხშირად იტყვის ხოლმე: მამაჩემი ხომ ღირსეული კაცია, ყველა სიკეთეს მას ვუმადლი, მაგრამ ბედი მჭონია ნოდარ ყიფშიძეც რომ ასეთი აღმოჩნდა, ეს კაცი მეორე მამაო ჩემი. მისთვის არ არსებობს — დღეს დავიღალე და ხვალ გავაკეთებ, თვითონ ყველაფერს ასწრებს და ამასვე მოითხოვს ჩვენგანაც.

და ასე, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში ილევა დღე, ასე ცხოვრობს ეს კაცი.

**მარადი ანასაშვილი.**

**საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის" კოლექტივი გულმოდგინედ შრომობს მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. აქ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. შრომაში დაწინაურდა № 1 საამწყობო საამქროს ზეინკალი იზა გურჩიანი, იგი კარგად დაეუფლა თავის საქმეს და ყოველდღიურ ნორმას 110-120 პროცენტით ასრულებს. მუყაოთად შრომობს აგრეთვე არჩილ ცეცხაშვილი, მან თბილისის 49-ე პროფსასწავლებელი დაამთავრა და ქარხანაში ზეინკლად დაიწყო მუშაობა, იგი თავს მოვალეობას პირნათლად ასრულებს.**

**სურათზე: ზეინკლები იზა გურჩიანი და არჩილ ცეცხაშვილი.**

**ჯ. ლომაძის ფოტოები.**

# როცა სულ მზად ხარ

# ეკვიდრდება კოლექტიური იჯარა

**დღეს** სადავო აღარ არის, რომ მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მეხიეროდ დაკავშირება საბოლოო შედეგებთან, საბოლოო პროდუქციასთან უზრუნველყოფს დაჩქარების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

მიუხედავად ამისა, კოლექტიური იჯარა ჯერ კიდევ წინააღმდეგობებით მიიკვლევს გზას წარმოებაში. ბევრგან იგი აღმინისტრირების გზით მკვიდრდება ადგილებზე ინიციატივის ფართოდ განვითარების ნაცვლად. მრავალი სამეურნეო ხელმძღვანელი, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ შელევიან „წარსულის კატეგორიებით" მსჯელობას, უნდობლად ეკიდებიან შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ამ პროგრესულ ფორმას და სუბიექტური მოსაზრებით, ანგარებითი ინტერესებით ხელს უშლიან მის დანერგვას.

რასაკვირველია, შეუძლებელია ერთი ხელის დაკვრით იჯარის ყველგან დანერგვა — მხედველობაშია მისაღები თითოეული კოლექტივის მუშაობის კონკრეტული პირობები, მაგრამ ამ დაწყებული საქმის დაყოვნება რომ არ შეიძლება, ესეც აშკარაა.

კოლექტიური იჯარის დიდ უპირატესობაზე ნათლად მეტყველებს გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობათა მაგალითი. ერთი წლის წინათ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა 8 საიჯარო ბრიგადა, რომლებმაც 286 მეგენახე გაერთიანდა 494-ის ნაცვლად. ბრიგადებმა მიმაგრებულ 481,5 ჰექტარ მოსავლიან ვენახში აწარმოვეს 48552 ცენტნერი ყურძენი. ეს წინა წელს იგივე ფართობიდან მიღებულ მოსავალზე 5 ათასი ცენტნერით მეტია. საშუალოდ ჰექტარზე მიღებული ცენტნერის ღირებულებამ შეადგინა 58 მანეთი 1984 წლის 51,3 მანეთის ნაცვლად.

კოლექტიური იჯარის დანერგვამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი მატება; ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ანაზღაურებაც — 1987-დან 2706 მანეთამდე; № 5 და № 15 ბრიგადებში კი ერთი მუშის საშუალო წლიურმა გამომუშავებამ 4364 და 3334 მანეთიც კი შეადგინა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საიჯარო ბრიგადებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 76,9 პუნქტით გადაჭარბა შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპს.

შრომის ნაყოფიერების ზრდამ განსაზღვრა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაც. კერძოდ, 1984 წელთან შედარებით ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება შემცირდა 14 პროცენტით.

ველისციხის კოლმეურნეობაში კი საიჯარო ბრიგადებში შრომის ნაყოფიერება წინა წელთან შედარებით 178 პროცენტით გაიზარდა. ერთმა მომუშავემ 10509 მანეთის პროდუქცია აწარმოვა, მაგრამ უფრო მეტად მოიმატა შრომის ანაზღაურებამ — 230 პროცენტით, 1215,2-დან 4010,5 მანეთამდე, რაც არასასურველი მოვლენაა მეურნეობის ეკონომიკისათვის.

ჩუმლაყში იჯარის დიდი სიკეთე ნათლად გამოჩნდა 1986 წელსაც. მიუხედავად არაბელსაყრელი კლიმატური პირობებისა, საიჯარო კოლექტივებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. კერძოდ, № 2 საიჯარო ბრიგადამ მიმაგრებული 69,3 ჰექტარიდან საგეგმო 5960-ის ნაცვლად, აწარმოვა 6160 ცენტნერი ყურძენი. № 3 ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 108 ცენტნერი მიიღო საგეგმო 90-ის ნაცვლად, ეს მაჩვენებლები რომ საიჯარო ბრიგადების უპირატესობას გამოხატავს, იქიდანაც ჩანს, რომ შარშან რაიონში ყურძნის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 68,9 ცენტნერი იყო. საგეგმო დავალებები დიდი გადამეტებით შეასრულეს არაშენდის კოლმეურნეობის საიჯარო ბრიგადებმაც.

გურჯაანელ მევენახეთა საიჯარო ბრიგადების შედეგები იმის დასტურია, რომ კოლექტიური იჯარა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების არსებულ ფორმებთან შედარებით მეტად ხელსაყრელია. მიუხედავად ამისა, იჯარის დანერგვისა და ფორმირების საქმეში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია, ხდება ბრიგადების ნაჩქარევი, ხელოვნური შეკოწიწება, რის გამოც ისინი მალევე იშლებიან. ბევრ შემთხვევაში იჯარა ჯერ კიდევ ქაღალდზეა, ხელფასს კი მომუშავეებს ისევ ძველებურად გამომუშავების მიხედვით ურიცხავენ. ნელა ინერგება ან, საერთოდ, უგულებელყოფილია საჩეკო სისტემა, რაც ეკონომის რეიტის მთავარი ფაქტორია. ამასთან მატერიალური დაინტერესების გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია მომუშავეებს მიეცეთ დაზოგილი მატერიალური რესურსების არა გარკვეული ნაწილი, არამედ მისი მთელი მოცულობა.

უნდა გაიზარდოს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მატერიალური პასუხისმგებლობა, რისთვისაც მიზანშეწონილია გამჭოლი იჯარის ფართოდ დანერგვა. გამჭოლი ანუ საყოველთაო იჯარის პირობებში მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება სამმართველო აპარატსაც.

კერძოდ, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს წლის განმავლობაში წინასწარი ავანსირების სახით ეძლევათ თვიური სარგოს 80 პროცენტი, ხოლო წლის ბოლოს მიღებული შედეგების მიხედვით ხდება მათთან სრული ანგარიშსწორება.

**ნ. ცომაია.**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**



# სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციას ქურაღლება

**სოფლის** მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა წლითიწლობით უმჯობესდება, მაგრამ სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსები და სხვა) მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღების სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ დაბალია. ამას განაპირობებს მთაგორიანი რელიეფი, ნაკვეთების მცირე ფართობები, მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურება, რის გამოც საჭირო გახდა სპეციალური მანქანების შექმნა. ამ საქმეში ქართველმა მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა გარკვეული წვლილი შეტანეს, დღეისათვის გვაქვს მანქანათა სისტემა ჩაის პლანტაციაში თითქმის ყველა სამუშაო პროცესის სამექანიზაციოდ. შექმნილია კომპლექსური მექანიზაციის მობილური საშუალებანი როგორც ვაკეზე, ისე 20 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე სამუშაოდ, აგრეთვე ხელის აპარატები ტრაქტორით მიედგომელ ადგილებში გამოსაყენებლად.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ ფართოდ დანერგვის ფორმებში მანქანების ფართოდ დანერგვის და მათი კონსტრუქციული შესაძლებლობების გამოყენების საკითხი. მაგალითად, ჩაის საკრეფი მანქანების გამოყენება ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში გაიზარდა მხოლოდ 810 ჰექტარით, ზოგან კი მანქანებისათვის გამოყოფილი პლანტაცია სათანადოდ არ არის მომზადებული, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ტექნიკის გამოყენებაზე. ჩაის საკრეფ მანქანას „საქართველოს" ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად აქვს სპეციალური თითბრისანი სავარცხელა ფოთლის შერჩევითი კრეფისათვის. ამ ბოლო წლებში ეს სამუშაო ორგანო შეცვლილია ჩვეულებრივი სათიბელათი.

მეჩაიეობაში კომპლექსური მექანიზაციის დონის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი რეზერვი 8-დან 20 გრადუსამდე დახრილობის ფერდობებზე განლაგებული პლანტაციების მექანიზება. ამ პირობებში ზოგიერთი სამუშაო პროცესის შესასრულებლად შექმნილია სამუშაო ორგანოების სამთო მოდიფიკაციები. დიდი ხანია მუშაობა მიმდინარეობს სამთო თვითმავალი შასის შექმნისათვის („სშ-061 1"), მაგრამ ჯერჯერობით დამზადებულია მხოლოდ საცდელი ნიმუშები. უნდა აღინიშნოს, რომ 1986-1995 წლების საკავშირო მანქანათა სისტემის პროექტში ეს შასი ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის. არადა, ამ შასის დამუშავებისათვის გაწეულია დიდი შრომა, დიდძალი ფულადი დანახარჯები. არსებობს ნიმუშებიც, რომლებმაც ყოველგვარი გამოცდა გაიარეს. ამ ვითარებაში ამ შასის შემდგომ სერიულ წარმოებაზე ხელის აღება იმ მოტივით, თითქოს მისი გამოყენების არეალი ძლიერ შეზღუდულიაო, მართებულად არ მიგვაჩნია. სუბტროპიკული მეურნეობის სპეციფიკურობა და პერსპექტივები სწორედ მცირე სერიების ნაჩქარა-იარაღებს საჭიროებს.

პროფესორი რ. მახარობლიძე თავის სტატიაში, რომელიც ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა, მართებულად აღნიშნავს მცირე მექანიზაციის საშუალებების დამუშავების საქმეში არსებულ ხარვეზებს. აქაც გვაქვს სავალალო მაგალითი. „სუპერ 610" მოტობლოკი, რომელიც ქუთაისში მზადდება, წარმოების პირობებში მთელ რიგ შემთხვევებში ვერ გაძოდგა, ხშირია ძრავას მწყობრიდან გამოსვლა, საიმედო არ არის ფრეზის რედუქტორი და სხვა. ასეთი ფართო ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ხელმძღვანელობამ, მთავარმა სპეციალისტებმა, ზემდგომი ორგანოების მიერ გაწეული დიდი დახმარების მიუხედავად, 1986 წელს ვერ შეძლეს არსებული ხერხიზული ხარვეზების გამოსწორება წარმოების ორგანიზაციის, ტექნოლოგიის დაცვისა და სრულყოფის არსებული სიმძლავრეების ათვისების საქმეში.

პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და ჩვენი სამინისტროს გადაწყვეტილებით ქარხანაში შეიცვალნენ ხელმძღვანელები: დირექტორი, მთავარი ინჟინერი, დირექტორის მოადგილე კადრების დარგში, მთავარი ტექნოლოგი.

ქარხანაში ხორციელდება ტექნიკური განახლება და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა. 1986 წელს დამონტაჟდა 2 ავტომატური ხაზი, ამოქმედდა მაღალმხატვრული ნაწარმის გამომშვები უბანი, შეფუშავებულია ტექნოლოგია და წლეულს დაინერგება ფაიფურის დეკორირება ფერადი ჭიქურებით და ტრაფარეტული ბეჭდვით, შეკვეთილია დანადგარები და 1987 წელს ქარხანაში საფუძველი ჩაეყარა საფირმო კერამიკული დეკორის წარმოებას. პირველ კვარტალში მომხმარებელი მიიღებს საფირმო მაღაზიას, მიმდინარეობს ქარხნის გაზიფიკაციის სამუშაოები, რაც ძირითად ტექნოლოგიური პროცესების (შრომის, პირველადი, მეორეული და დეკორირებული გამოწვის) სტაბილიზაციის საშუალებას მისცემს წარმოებას.

უკვე განხორციელებულმა და დასახული ღონისძიებების შესრულებამ უნდა უზრუნველყოს 1987 წლის გეგმების რეალიზაცია.

1987 წლის 1 იანვრიდან მსუბუქი მრეწველობის სისტემის სხვა საწარმოებთან ერთად ქარხანა გადავიდა მეურნეობრიობის ახალ მეთოდზე, რომელიც ქარხნის კოლექტივს, მის თითოეულ მუშაკს აკისრებს მეტ პასუხისმგებლობას ეფექტიანი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

## ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

## „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ" ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

# მდგომარეობა გამოსწორდება

**ᲩᲕᲔᲜᲘ** გაზეთის 1986 წლის 10 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა მასალა „უიმედოდ ჩამორჩა". მასში გაკრიტიკებული იყო ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა, რომლის კოლექტივი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმებს, დაბალია აქ დამზადებული პროდუქციის ხარისხი. ამის გამო რედაქციას უპასუხებს:

**ე. კუხალაშვილი** — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ხელმძღვანელობამ, მთავარმა სპეციალისტებმა, ზემდგომი ორგანოებმა მიერ გაწეული დიდი დახმარების მიუხედავად, 1986 წელს ვერ შეძლეს არსებული ხერხიზული ხარვეზების გამოსწორება წარმოების ორგანიზაციის, ტექნოლოგიის დაცვისა და სრულყოფის არსებული სიმძლავრეების ათვისების საქმეში.

პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და ჩვენი სამინისტროს გადაწყვეტილებით ქარხანაში შეიცვალნენ ხელმძღვანელები: დირექტორი, მთავარი ინჟინერი, დირექტორის მოადგილე კადრების დარგში, მთავარი ტექნოლოგი.

ქარხანაში ხორციელდება ტექნიკური განახლება და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა. 1986 წელს დამონტაჟდა 2 ავტომატური ხაზი, ამოქმედდა მაღალმხატვრული ნაწარმის გამომშვები უბანი, შეფუშავებულია ტექნოლოგია და წლეულს დაინერგება ფაიფურის დეკორირება ფერადი ჭიქურებით და ტრაფარეტული ბეჭდვით, შეკვეთილია დანადგარები და 1987 წელს ქარხანაში საფუძველი ჩაეყარა საფირმო კერამიკული დეკორის წარმოებას. პირველ კვარტალში მომხმარებელი მიიღებს საფირმო მაღაზიას, მიმდინარეობს ქარხნის გაზიფიკაციის სამუშაოები, რაც ძირითად ტექნოლოგიური პროცესების (შრომის, პირველადი, მეორეული და დეკორირებული გამოწვის) სტაბილიზაციის საშუალებას მისცემს წარმოებას.

**ᲡᲐᲮᲛᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲐ**

# ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲛᲘᲘᲙᲕᲚᲔᲕᲡ

## ᲛᲪᲘᲠᲔ ᲬᲘᲐᲚᲔᲑᲚᲐ

**„ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ"** სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზისთვის" თბილისის საცდელი ქარხნის კოლექტივი პროდუქციის ასპროცენტიან სახელმწიფო მიღებაზე გადავიდა. სანამ ამ საკითხზე ვისაუბრებდეთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ორწლიანი ექსპერიმენტის შემდეგ გაერთიანება სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზეც გადავიდა. შრომის ანაზღაურების სისტემა მეტ მოთხოვნებს უყენებს თითოეულ მუშას, კონსტრუქტორს, ინჟინერს, სამეურნეო ხელმძღვანელს.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლას საფუძვლად დაედო დამოუკიდებლობა, თვითანაზღაურება, თვითდაფინანსება, მატერიალური დაინტერესება, ეკონომიკური პასუხისმგებლობა. სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის საფუძველია მოგება. სწორედ ეს არის ის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს გაერთიანების წინსვლას. მოგება ხომ წარმოების სარკეა, ამ მაჩვენებლის შესრულებას ვერ უზრუნველყოფ, თუ ვერ დაიცავ მიწოდების ხელშეკრულებას. როცა ეს ეკონომიკური მაჩვენებელი სრულდება, წარმოებაში მეტი საკუთარი სახსრები გროვდება, რომლებსაც ყარგი მეურნე წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, სოციალური და სხვა საკითხების მოსაგვარებლად იყენებს. გაერთიანების დამოუკიდებლობის გაფართოებამ მუშაკები მეტად დაინტერესა, წუნის მკეთებელს კი მატერიალურ წახალისებაზე, ცხადია, უარს ეტყვიან.

მეთორმეტე ხუთწლედის განმავლობაში დაიზოგება 975 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 29.700 გიგაკალორია სათბობი. ეს კი იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ გაერთიანების მშრომელებმა ყოველწლიურად ოთხი დღე იმუშაონ დაზოგილი ელექტროენერგიითა და სათბობით. გაერთიანების სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების წევრები ახლა იბრძვიან თითოეული გრამი ნედლეულის მოგზარნედ გამოყენებისათვის, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისათვის. მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობა გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს, მაგრამ, როგორც განვლილი ორი წლის ექსპერიმენტმა ცხადყო, მუშაობის ეს ფორმა ყველაზე ეფექტიანია.

სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადა მეცნიერებაშიც შედეგიანი გამოდგა. ერთ ბრიგადაში გაერთიანებენ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები, რომლებმაც შექმნეს გარემოს დაცვის ავტომატიზებული სისტემა (მდინარეებისათვის). გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შემოქმედებითი ბრიგადა ბერლინში მიიწვია. მდინარე შპრეზე მათ ვადამდე დანერგეს სამი ასეთი სისტემა, რისთვისაც ბრიგადის ოთხ წევ

**1. როგორ მიმდინარეობს თქვენთან გარდაქმნა და რა-გორია მასში პროფკავშირის წვლილი?**

**2. თქვენი აზრით რა პრობლემებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება ყრილობამ?**

**3. როგორია თქვენი პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობის პერსპექტივები?**

# გარდაქმნის სულისკვეთებით

**3. გრიგოლავა** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების აღმდგენი მატარებლის მეამწე.

**1. აღმდგენი** მატარებლის კოლექტივი, რომლის წევრიც მე ვარ, მცირერიცხოვანია, იგი 23 კაცს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, აღმდგენელთა ამ პატარა ჯგუფში აშკარად იგრძნობა მუშაობის გარდაქმნის სულისკვეთება, რომელიც მიმართულია იქეთკენ, რომ კოლექტივის საქმიანობაში ინერგოს ბელორუს რკინიგზელთა გამოცდილება. „მეუნაგობრობის ახალი მეთოდების ინსტიტუტის ინერგვა, — ეს ბელორუსიის რკინიგზისა და ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სხვა რკინიგზაზე, — ითქვა დღეებში გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, — რამაც გაუმჯობესდა დარგის მუშაობის მაჩვენებლები და გაზარდა შრომის ნაყოფიერება“. მომდინარე წელს ეს ექსპერიმენტი გამოცდილება განყოფილების ყველა საწარმოში დაინერგება. ეკონომიკური ექსპერიმენტის აზრი და მიზანია ტექნიკური პროგრესის დანერგვა, ეფექტიანი სისტემის დამჩარება, მართვის სისტემის დახვეწა, ანაზღაურების სრულყოფა, აქედან გამომდინარე კი შრომის ნაყოფიერების ზრდა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება. ხოლო ბერკეტი, რითაც უნდა მივაღწიოთ ყველა ამას, ეს არის შემცირებული კონტინგენტის ხელფასის განაწილება დარჩენილი მუშაობისათვის. ამ მიმართულებით ჩვენთან პირველი ნაბიჯები უკვე დადგიდგა. კოლექტივი სულ უფრო და უფრო უზრუნველყოფილი ხდება უახლესი ტექნიკური საშუალებებით, რაც გვიადვილებს აღდგენითი სამუშაოების დაჩქარებას. მუშაობის ასეთმა სისტემამ ჩვენი კოლექტივიდან გამოთავისუფლა 5 კაცი. ცხადია, გამოთავისუფლებულ მუშაკთა სამუშაოები დარჩენილ ამხანაგებზე ნაწილდება. ამით ორმაგად სასარგებლო საქმე გაკეთდა: გაიზარდა თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, სათანადო ანაზღაურების საფუძველზე ნორმალურად დაიტვირთა კოლექტივის თითოეული წევრი. ახლებურად მუშაობს პროცესში თითოეული მუშაკის ფსიქოლოგიურ მომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რას მისცემს ამ ექსპერიმენტის დანერგვა ქვეყანას, ჩვენს კოლექტივს, მის თითოეულ წევრს? — ამ კითხვაზე ნათელი პასუხი ჩვენმა პროფკავშირმა გასცა საგზტაცია მუშაობის ფართოდ გაშლის, სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებების შეჯუშავების, შეჯიბრებაში თითოეული წევრის ჩაბმის, თვალსაჩინო აგიტაციის მოწყობის გზით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის იუბილეს შესახვედრად რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მიერ ნაკისრი ვალდებულებებით გეგმის გადამეტებით უნდა გადაიჭიდოს 100 ათასი ტონა ტვირთი, შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს 0,2 პროცენტით, დაიზოგოს მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 100 ტონა საწვავი, 0,5 საათით დაჩქარდეს ვაგონების ბრუნვა და სხვა. აღმდგენი მატარებლის კოლექტივის თითოეულ წევრს თავისი კონკრეტული ამოცანა აქვს, რომელსაც პრინციპულად ახორციელებს ახლა ჩვენი პროფკავშირული რგოლი.

**2. მინდა** გულწრფელი ვიყო, როგორც ეს უფროსობ თაობის რკინიგზელებს სჩვეოდათ, და ჩემი სათქმელი ბოლომდე ვთქვა. აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ დღესდღეობით რკინიგზელის პრესტიჟი ერთობ შელახულია. ამ რთულ და პასუხსაგებ დარგში არ უნდა დავასაქმოთ მერყეები და შემთხვევითი ხალხი. ამასთან დაკავშირებით ვისურვებდი, რომ ყრილობაზე - ჯეროვანი ყურადღება და ადგილი დასთმობოდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის საკადრო პოლიტიკას, მის ავ-კარგს, მომავლის ამოცანებს.

**3. აღმდგენი** მატარებლის კოლექტივს, ისე როგორც საერთოდ ყველა სამტრედიელ რკინიგზელს, დიდ კმაყოფილებას გვანიჭებს ის, რომ მათთვის სულ მოკლე ხანში გადაიჭრება საცხოვრებელი ბინების პრობლემა. წელს მივიღებთ ახალ საცხოვრებელ სახლებს სამტრედიაში, სოხუმში, ბათუმში. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება სამუშაო ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, კადრების მომზადების, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით. მარტო მიმდინარე წელს ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის შედეგად ძმიმე ხელის შრომისაგან გამოთავისუფლდება მრავალი რკინიგზელი. სარეკონსტრუქციო მოდერნიზაციის სამუშაოები შესრულდება სამტრედიის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის სალოკომოტივო დეპოებსა და ზესტაფონის სალიანდაგო დისტანციის ცალკეულ სამქროებში, 25 ბრიგადაში დაინერგება მოსკოველ მშენებელთა მუშაობის მეთოდი დევიზით: „ვიმუშაოთ დიდი შრომის ნაყოფიერებით უტრავმოდ და უავარიოდ“. მომზადდება და კვალიფიკაცია აუმაღლდება 700-ზე მეტ რკინიგზელს. მოეწყობა ტექნიკის უსაფრთხოების სამი კაბინეტი.

ჩვენი პროფკავშირის კომიტეტი ახლა ყველაფერს ღონობს, რომ მუშაკს შეეძლოს თავისუფლად ისსჯელოს, გამოთქვას აზრი, ჯანსაღად განეწყოს კრიტიკისადმი. ერთი სიტყვით, შეიქმნას საქმიანი ვითარება, როცა სიტყვა და საქმე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, როცა შეურიგებელი ატმოსფერო იქმნება ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და მოჩვენებითი ფუსფუსის წინააღმდეგ.

# მუშაობის მიზანმიმართულება

**თ. ლოლაძე** — საქართველოს სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

**1. უმაღლესი** სკოლის რეფორმის მოთხოვნებმა, რომლებმაც თვალსათლივ წარმოაჩინა უმაღლესი სკოლის როლი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, კიდევ უფრო მიზანმიმართული გახადა ინსტიტუტის პრაფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა.

გაძლიერდა პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის 41 პროფბიუროსა და 784 პროფჯგუფის ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სტუდენტთა და თანამშრომელთა სწავლის, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ჯეროვანი პირობების შექმნისათვის. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებლად: დამთავრდა საბინაო სამშენებლო კოოპერატივის 184-ბინიანი სახლის მშენებლობა იყალთოს გორაზე. გეოლოგიის ფაკულტეტის კორპუსის 250-ადგილიანი და სტუდენტთა №1 საერთო საცხოვრებლის 300-ადგილიანი სასადილოების/ამოქმედება კიდევ უფრო გაზრდის ინსტიტუტის საზოგადოებრივი კვების ობიექტების გამტარუნარიანობას. ინსტიტუტის 750 თანამშრომელს გამოეყო ნაკვეთები კოლექტიურ მებაღეობა-ამხანაგობებში, რომელთა წევრებზე გრძელვადიანი სესხით გაიცა მილიონამდე მანეთი. საახალწლოდ მივიღეთ ინსტიტუტის შუდმივი გამოფენისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის შენობა, გეოლოგიის ფაკულტეტის კორპუსის სპორტდარბაზი, მთავრდება სტუდენტთა №1 საერთო საცხოვრებლის 300-ადგილიანი ბიბლიოთეკის, 500-ადგილიანი კლუბისა და სპორტდარბაზის მშენებლობა.

გარდაქმნის, მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიების შედეგად, დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მხარდაჭერით ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა მართვის ავტომატიზებულ სისტემას — „პროფკომს“. შეიცვალა და გაუმჯობესდა სოციალისტური შეჯიბრების მეთოდიკა. ფაკულტეტებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებაში დაინერგა ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენება.

ბოლო ხანს არსებითად შემცირდა პროფკავშირის ჯაერთიანებული კომიტეტის მუდმივმოქმედი კომისიების რიცხვი. ამაღლდა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელობის დონე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა პროფბიუროებისა და პროფჯგუფებისადმი დახმარებას. დღეს სტუდენტები დამოუკიდებლად წყვეტენ მათთვის საჭირბოროტო საკითხებს, სწავლობენ და თანდათან ეუფლებიან დამოუკიდებელი მუშაობის ხელოვნებას, სრულყოფენ მართვის ჩვეულებს.

საგრძნობლად გაუმჯობესდა თანამშრომელთა და სტუდენტთა შორის კულტმასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. მეტი მიზანმიმართულება შეიძინა სპორტის მოყვარულთა სოციალურ კლუბების, თანამშრომელთა შვილებისათვის გახსნილი სხვადასხვა დისციპლინის შემსწავლელი წრეების, წრეებში „გაერთიანებული ბავშვებისათვის კიკეთის დასასვენებელი სახლის მუშაობამ.

დადი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა აკადემიური წარმატების გაზრდაში პროფკავშირული ორგანიზაციის როლის გაძლიერებას.

**2. მეტ** ყურადღებას მოითხოვს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურებით განაგრძნობ, ეს ინსტიტუტებს ეხებოდა ბოლო ორ-სამ კვირაში. ეს ინსტიტუტები ამ ბოლო ორ-სამ კვირაში

# ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲖᲐ



**Მ. Ი. ᲯᲐᲨᲘᲡ**

**ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 85**

**ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ**

**ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ** პარტიის ვეტერანს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ინ აქტიურ მებრძოლს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს მაკარ ივანეს ძე ჯაშს დაბადების 85 წელი შეუსრულდა.

ყოფილი ოზურგეთის მაზრის სოფელ ვანში, ღარიბი გლეხის მრავალშვილიან ოჯახში დაბადებული მ. ჯაში, სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თბილისში ჩამოდის და მუშაობას იწყებს საწარმოებში.

ქალაქში ცხოვრებამ, მუშებთან ურთიერთობამ მას თანდათან გაუღვიძა პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესი. ამავე დროს სოფელში ყოფნისას იგი ხვდებოდა თავის თანასოფლელ ბავშვობის მეგობარს, 1917 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრს დომენტი გოგორიშვილს, რომელიც ქუთაისში სწელობდა და თან არალეგალურ მუშაობას ეწეოდა. მას ვანში ჩამოჰქონდა არალეგალური ლიტერატურა, რომელსაც ბაეცნო მ. ჯაში და ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა ბოლშევიკური მსოფლმხედველობით განიმსჭვალა, იგი ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიიღეს 1921 წლის მარტში, იბრძოდა მეწმევიკების წინააღმდეგ.

მ. ჯაშმა სხვა კომუნისტ კომკავშირელებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა გურიის კომკავშირული ორგანიზაციების შექმნისა და გაძმტკიცებისათვის. მისი და დ. გოგორიშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა აქტივისტებისაგან შეიქმნა ვანის კომკავშირული უჯრედი, რომლის მრავალი წევრი შემდეგ სახელოვანი მუშაკი გახდა.

თბილისის პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ, 1922 წლიდან, მ. ჯაში სხვადასხვა დროს არჩეული იყო ხიდისთავის, ნაგომრისა და ჩოხატაურის კომკავშირის რაიკომების მდივნად. შემდეგ სწავლობდა ამერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, საიდანაც კომკავშირულ სამუშაოზე გაიწვიეს.

1927-30 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტია და თან აქტიურად მონაწილეობს პარტიულ-პროპაგანდისტულ მუშაობაში. შემდეგ მას აგზავნიან ზესტაფონის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსად, სადაც მან თავი გამოიჩინა კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების, ხელმძღვანელი კადრების შერჩევა-მომზადებისა და აღზრდის საქმეში. ამის შემდეგ იგი მუშაობს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების სექტორის გამგედ, პარტიის ხაშურისა და დუშეთის რაიკომების მდივანთა მოადგილედ.

1936-37 წლებში მ. ჯაში სწავლობდა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სვერდლოვის სახელობის პროპაგანდისტთა უმაღლეს პარტიულ სკოლაში, იყო ამ სკოლის პარტიული კომიტეტის მდივანი. თბილისში დაბრუნების შემდეგ მ. ჯაში მუშაობდა ჯერ პარტიის თბილისის სტალინის (ამჟამად პირველი მაისის) რაიკომის პირველ მდივნად, შემდეგ თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე მდივნად, ხოლო 1938 წელს კი აირჩიეს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნად.

1939 წელს მ. ჯაში, როგორც დელეგატი, მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მუშაობაში, სადაც სიტყვით გამოვიდა პარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხზე.

მომდევნო წლის მიწურულს მ. ჯაში ინიშნება საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის კომისრად და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მინისტრთა საბჭოდ გარდაქმნის შემდეგ — თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

დიდი სამამულო ომის წლებში მ. ჯაში იყო საქართველოს კპ (ბ). ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს და ამერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს რწმუნებული კავკასიის მთავარი ქედის (ბატილის, არხოტის, გუდამაყრის) გადასასვლელების დაცვის საქმეში, სადაც მნიშვნელოვანი თავდაცვითი ღონისძიებანი განხორციელდა.

1943-53 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრად. მისი ინიციატივით კომპლექსური ღონისძიებანი განხორციელდა ტყეების მოვლის, შენარჩუნების, ახალი მასივების გაშენების, განსაკუთრებით თბილისის შემოგარენის გამწვანებისათვის.

1953 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა დროს მ. ჯაში მუშაობდა პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად, პუპპრომდუქტების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ და სხვ.

იგი 10 წლის მანძილზე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს უცვლელი წევრი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ პირველი და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის მრავალი ყრილობის, მათ შორის XXVI და XXVII ყრილობის დელეგატი. მის ერთ-ერთ პარტიულ დახასიათებაში ნათქვამია: „საქმის ღრმა ცოდნა, კომუნისტური პირდაპირობა, პრინციპულობა, გულისხმიერება — აი ის თვისებები, რომლებითაც დაჯილდოებულია მ. ჯაში და რომლებმაც მას დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა რესპუბლიკის მშრომელთა შორის“.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მისი ნაყოფიერი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობა. იგი დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, I ხარისხის სამამულო ომის, „სამეფო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რამდენიმე სიგელით, საკავშირო და საქართველოს პროფსაბჭოს, საკავშირო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტების საპატიო სიგელებით...

მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკურ საბჭოს, რომელსაც დაარსებიდან — 1977 წლიდან უცვლელად თავმჯდომარეობს მ. ჯაში. ამ გამოცდილებას მაღალი შეფასება მისცეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პარტიის ვეტერანებთან შეხვედრის მონაწილეებმა 1983 წლის აგვისტოში. განსაკუთრებით დაინტერესდნენ იმ კავშირურთიერთობით, რომელიც რესპუბლიკის ვეტერანებს აქვთ დამყარებული საწარმოთა კოლექტივებთან, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიებთან. პარტიის ვეტერანები მუშაობაში ეხმარებიან სპინნო-საყოფაცხოვრებო კომისიებს, პერიოდულად ეწყობა პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული შეხვედრები, სამეცნიერო და თეორიული კონფერენციები, კვალიფიკაციო ლექციები და ა. შ.

კვლავ დღეგრძელ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ახალგაზრდულ სიმხნევეს ვუსურვებთ პარტიის, კომკავშირის და შრომის ვეტერანს, სპეტაკ კომუნისტს, გულისხმიერ და პატიოსან მოქალაქეს მაკარ ჯაშს, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ახალგაზრდობისათვის კომუნისტური იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების საუკეთესო მაგალითია.

**Გ. ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ,**
**საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი,**
**Შ. ᲗᲝᲕᲗᲐᲫᲔ,**
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი.**



# ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ფანფარების ხმებით იწყება სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების პარადი, რომელსაც ესალმება რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სახელგანთქმული ტანმოვარჯიშე გიორგი მერკვილაძე.

არენის ცენტრში ჩნდება გიგანტური საჭადრაკო დაფა, აქ „ცოცხალი ფიგურებით“ ათამაშებენ საჭადრაკო დებიუტს, საპატიო კვარცხლებეკზე კი ადიან გასული წლის ტრიუმფატორი დიდოსტატი ქალები. მაია ჩიბურდანიძემ მეოთხედ მოიპოვა საჭადრაკო გვირგვინი, ნონა გაფრინდაშვილთან, ნანა ალექსანდრიასთან და ელენე ახმელოვსკაიასთან ერთად კვლავ დაამტკიცა მსოფლიო ოლიმპიადაზე, რომ რესპუბლიკის ქალთა საჭადრაკო სკოლა უძლიერესია მსოფლიოში. ამ წარმატებებს დაემატა სსრ კავშირის ჩემპიონატზე ნაბა იოსელიანის მიერ მოპოვებული ოქროს მედალიც.

გაისმის ფლოქვების თქარათქური — შემოდის მოსკოვის კეთილი ნების პირველი ასპარეზობის **ᲥᲐᲚᲐᲥᲘ** გორის სპორტის ქომაგები აქ გამართული სსრ კავშირისა და აშშ-ს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საინტერესო ორთაბრძოლების მოწმენი გახდნენ. თავდაბალ შეევნიშნავთ, რომ ეს სამატჩო შეხვედრა საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიგეს ანგარიშით 8:2.

ყველაზე ხანმოკლე გამოდგა სამგზის მსოფლიო ჩემპიონის, ტაშკენტელი არსენ ფაძაევისა (68 კგ-მდე წონა) და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯოს მედლის მფლობელის ედდ ურბანოს შეხვედრა: 2,5 წუთში წმინდა გამარჯვება იზეიმა ფაძაევმა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების ლერი ხაბელოვისა (100 კგ) და დავთა გობეჯიშვილის (130 კგ) ორთაბრძოლებმა. პირველმა მოუგო მსოფლიო თასის გათამაშების გამარჯვებულ ბილ შერს, გობეჯიშვილმა კი აშკარა უპირატესობით (11:2) ჯობა მორის ჯონსონს.

საბჭოთა ნაკრებს გამარჯვების გამარჯვებული, ხუთჭიდელი ვახტანგ იაგორაშვილი. შემოდიან სსრ კავშირის ხალხთა IX საზაფხულო სპარტაკიადის მონაწილენიც.

ტრიბუნის წინ ჩაატარეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მიერ დიდ ტურნირებში მოპოვებული პრიზები, მათ შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასიც. ათასობით სპორტის მოყვარულს, ისევე როგორც დღესასწაულზე გამოსულ ფეხბურთის ვეტერანებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ბორის პაიჭაძეს, გიორგი ახთაძესა და გიორგი გაგუას, სჯერათ, რომ თბილისის „დინამო“ ღირსეული მაგალითი გახდება თავისი „უმცროსი ძმის“ — ლანჩხუთის „გურიისათვის“, რომელიც პირველად შევიდა ქვეყნის საფეხბურთო „ელიტაში“. სწორედ მათ, უმაღლესი ლიგის ახალწვეულებს, რომლებიც ესწრებოდნენ დღესასწაულს, მიეძღვნათ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ოვერის“ სახუმარო სიმღერა.

დღესასწაულზე აყდერდა აგრეთვე სიმღერები და მელოდიები, რომლებიც შეასრულეს თამარ გვერდწითელმა და ალექსანდრე ხომერიკმა, ცისფერმა ტრიომ, კამერულმა ორკესტრმა ვადიმ შუბლაძის ხელმძღვანელობით და მუსიკალური ხელოვნების სხვა წარმომადგენლებმა. სპორტსმენებს გულთბილად მიესალმნენ კულტურის მოღვაწეები და ჟურნალისტები.

სპორტულ-თეატრალიზებული წარმოდგენა დამთავრდა სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების საუკეთესო ნაკრები გუნდების სვლით. მათი სახით საქართველოს ყველა სპორტსმენს რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა სახელით ახალი სეზონის დაწყების წინ გზა დაულოცა პოეტმა აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ირაკლი აბაშიძემ.

ნორჩი სპორტსმენები სპორტის სასახლის თაღქვეშ „ანთებენ“ სიმბოლურ ოლიმპიურ ცეცხლს.

დიდებული „მრავალჟამიერი“ დღესასწაულის მონაწილეებისათვის გაგზავნა თავისებური მოწოდება — მოიპოვონ ახალი გამარჯვებანი ქართული საბჭოთა სპორტის სასახელოდ.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲗ ᲤᲐᲥᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ.

# ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

# ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ — ᲙᲝᲜᲕᲔᲘᲔᲠᲖᲔ

**ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚ** „თბილისის“ სადემონსტრაციო დარბაზი სავსე იყო ადამიანებით, რომლებსაც სურდათ დაეთვალიერებინათ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პროდუქცია. მაგრამ სანამ დათვალიერების თაობაზე საუბარს დავიწყებდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ მისი ორგანიზაციის შესახებ. გაზეთ „სოციალისტჩრესკაია ინდუსტრიის“ რედაქციის იდეას მხარი დაუჭირეს სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა, მსუბუქი მრეწველობისა და ვაჭრობის საკავშირო სამინისტროებმა, დარგობრივმა პროფკავშირულმა კომიტეტებმა. შეიქმნა


**ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ**

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ**

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:**

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲐᲛᲑᲐᲡᲐᲓᲝᲠᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66,10, ᲒᲐᲜᲪᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐᲡ — 93-22-93, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲘᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

**ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ**

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲬᲝᲠᲝ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ—2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲰᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲩᲘᲣᲚᲘ — 25-82.


# ᲓᲦᲔᲡ ᲛᲫᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲘᲛᲔᲘᲓᲔᲑᲜᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲪᲚᲔ, ᲠᲐ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐᲓᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲐᲡ. ᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲣᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲝᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲜᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲝᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ